№ 1. ალმანახი ფასი ყველგან 5 კაპ.

ლილა

ახალგლის დილა.

რედაქცია იმყოფება ქ. ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე, იოსებ ქავჟარაძე.

რედაქციისაგან:

ვაცხადებთ ოფიციალურად, რომ ჩვენს რედაქციას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც „მერცხლის“ რედაქციასთან და არც „იმერეთთან,“ გარდა გამარჯობა—გაგიმარჯოსი.

ლილა.

1913

ახალი წელი!

1913

მკითხველო, მომილოცავს ახალი წელი, გისურვებთ მხიარულათ გაგეტარებიოსთ...

ძველი წელიწადი მოგვშორდა და თან წაიღო აუარებელი საწყალთა და მაშვრალთა სისხლი. ძველი წელიწადი კაცობრიობის სისხლით იყო წითლათ შეღებილი და ჩაბარდა ისტორიას. შეიძლება ზოგიერთ მკითხველს გაუკვირდეს, სად დაიღვარა და სად მოხდა ეს სისხლის ღვრა ჩვენშიო, მაგრამ განა ბალკანეთის ომს, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა ჩვენ გულ-ცივათ უნდა უცქიროთ? განა ჩვენ მოვალე არ ვართ, რომ დავგმოთ ადამიანთა ურთ-ერთ შორის ხოცვა-ჟლეტა?!

გადავხედოთ ძველ წელიწადში თუ რა მოხდა: ჩვენშიდაც პირადი შეძენისათვის მოკლეს ერთი ურია, გაცარცვეს მეორე, მოკლეს მესამე ურია და თან მიაყოლეს სხვა მრავალი. ეს ყველა ჩვენი თვალის წინ მოხდა და ისეთ შევეჩვიეთ ამ გვარ მოვლენებს, რომ არარათ ვაგდებთ, ვინ მისცა ადამიანს მისი უფლება, რომ მეორეს ბუნებისგან ნაჩუქარი სიცოცხლე წაართვას, რომლის დაბრუნება მას არ ძალუძს! ამ გვარი სისაზიზღრე ძველმა წელმა ერთი ორათ შექმნა. მაშ მკითხველო წყევლა და კრულვა ძველ წელიწადს. მოვიდეთ გონზე და ამ ახალ წელში ურთი-ერთი გადავკოცნოთ, მიუტოვოთ ერთი მეორეს დანაშაული და წმინდა გულით შეუდგეთ კეთილ საქმეს.

ლიდა.

მილოცვები!

კნიაზ კუჭიკო!

(თავად აზნაურების დეპუტატს)

გწყალობდეს წმინდა გასილი!

პირველად გილოცავთ ახალ წელს, ღმერთმა მრავალს დაგასწროს ჯან-მრთელობით, მხიარულებით. ტანის სიმრთელით, ჭკუის სისქელით, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენი მფარველობა, შენი ნუგეში; ისევ შენ, თორემ ჩვენი საქმე წასულია, შენმა წარმოთქმულმა სიტყვებმა თავრიდის სასახლეში იმედი გაგვიღვიძა. აბა ერთი რომელმა დეპუტატმა აუწყა მსოფლიოს, რომ ქართველი თავად-აზნაურობა გალატაკებულია (ნუნუათი და უსაქმობით), და შველა სჭირია, ასთე რომ ჩვენო კუჭიკო, იმედი გვაქს აწიც მედგრად დაიცავთ ჩვენს ინტერესებს.

თქვენი ამზამრჩეველი თავად აზნაური,

კნიაზ ანდრია ერისთავს!

სახელმწიფო საბჭოს წევრო,
კნიაზ ანდრო ერისთავო!
მოგვილოცავს ახალ წელი
კავკასიის ჭკუის თავო.

—

შენით არის, რომ თავადებს
შეგვრჩა ძველი ბატონობა
და ეჭკუო ჩვენსა გლეხებს
შეარჩინე კვლავ მონობა.

—

მემარჯვენეთ გვერდზე ზიხარ
და ამშვენებ იმათ წრესა,
აქ ჩამოხვალ მარშლის „პორთველს“
ჩაგაბარებთ იმავ დღესა.

ვარლამუშკას!

მომილოცავს ვარლამუშკა ახალი წელი, ღმერთმა დიდხანს გაგცოცხოს. გისურვებ რაც ძველ-წელწადში საგმირო საქმეები ჩაიდინე ახალ წელში ერთი ორათ შეგასრულებიოს, მაგრამ ერთი კი უნდა გითხრა: მიკვირს ამ ფედერალისტების ამბავი, რას „მიქარავენ“ როცა სჭირიხართ ფედერალისტი ხარ, როცა არა და „არა ფრისტი“ ამაში კი მეცოდები. მეცოდები მისთვის რომ რამდენი ოფლი ღვარე

ფედერალისტების ბანაკში ვინ ღწყის. შენ რომ არა, ჩვენი კუპიკო დეპუტატის სავარძელს ვერ მოიპოვებდა. იმედია ფედერალისტები გონს მოვლენ და შენს ნაშრომს ღირსეულათ დააფასებენ ამ ახალ წელში მაინც.

შენი კეთილის მდომი სტეშა.

ეპარხიალურ კატას!

მომილოცავს ახალი წელი ჩემო მეგობარო კატუნია, იცოცხლე დიდხანს, მასთან ერთათ გისურვებ დადინჯებას, რაც ძველ წელიწადში გადაგხდა სიმწარე ის სიხარულით შეგიცვალოს ახალმა წელმა. შე საწყალო, ყველგან კი არ გაგივა სიცელქე, ხომ იცოდი სიმონს სუსტი ნერვები აქვს და შენს „მიაუს“ ვერ აიტანს, რაზე მიიყვანე იმ ზომამდე რომ მასწავლებელთა სამჯავროსათვის მიემართნა; კიდევ კარგი, ბრალ მდებელი ცოტა ლიბერალი გამოდგა თორემ, უეჭველად, ჩამოხრჩობას გიპირებდენ. იმედი მაქვს ახალი წელი იმოდენ გაელენას იქონიებს შენზე, ჩემო კატუნია, რომ გადავიწყდება შკოლაში ფხაკუნია.

შენი მეგობარი ესტეტიკ ბერსიანი.

შარაბნის მაზრის ხუტებს!.

გილოცავთ ახალ წელს! ღმერთმა ნუღარ დაგასწროსთ ამისთანა წელს, როგორიც ეს ძველი წელი იყო, თქვენ ლოცვა კურთხევას გასავალი არ ქონდა ამ წყეულ წელიწადში, თორემ რაც თქვენ ილოცეთ თქვენის დიაკვან-პოიჩეტნიკებით განა არ უნდა გასულიყო კიტა დუმაში? წმინდა მამებო!. გუსურვებთ ახალ წელში მაინც გქონოდეს გავლენა თქვენ ლოცვა კურთხევას.

ლიდას ნაგდეკი.

ლამის გმირებს!

მომილოცავს ბულვრის ნგრევა,
რაინდობა გმირთ გმირული
და შეწყობა ხმების ხმებზედ
კრიმანჭული მეგობრული.

ქუთ. არტისტებს.

მომილოცავს ახალი წელი და მასთან ის როოოოოომ მალე ახალ თეატრს აااااااგიგებენ ცენტრში, ესე იგი მაااااااარსზე, ითამაშეთ მااااასზე.

ზოგიერთ გათავებულ ქალიშვილებს!

გილოცავთ ახალ წელს, თანაც მოგილოცავთ იმას, ოოოოომ თქვენთვის გამოწერილი მყავს მომავალი წლისთვის ერთი ვაგონი ოპელატებიანი ახალგაზრები, ერთი ვაგონიც სტუდენტები; იმედი მაქვს ეხლა მაინც იქნებით კმაყოფილი და ქორწილშიდ დამპატიჟებთ.

ზოგიერთ მასწავლე ახალგაზდობას.

გილოცავთ ახალ წელს! მასთან გისურვებთ ამ ახალ წელში შემდეგი „ბალები“ მიგეღოთ:

პოვედენიაშიდ – შერცხვენა.
სლოვესტნოში—ზურნა.
გრამატიკაში—დოლი.
მატემატიკაში—ჩარექიანი.
ალგებრაში ყურიანი სტაქანი.
ლათინურში—მაშ ხუხვას.

და სხვებში კი თქვენც თვითონ მიხვთებით ხუხვას რა მოყვება.

ლურჯოსნებს!

მომილოცავს ახალი წელი ლურჯოსნებო! მოხარული ვარ, ოომ ყველა დაზანიატებული ყოფილხართ. იმედი მაქვს წმინდა სიყვარულს არ უღალატებთ.

წითლოსნებს:

გილოცავთ ახალ წელს! იცოცხლეთ, იხარეთ, გისურვებთ არ ჩამორჩენოდეთ ლურჯოსნებს კოპწიაობაში, არშიყობაში და ვარჯიშობაში. მე და ჩემმა ღმერთმა თქვენთვის ზე გამოჭრილი სახელი უწოდებიათ—წითლოსნები, მართლაც თქვენ ოჯახქორებო, რამ დაგიწითლათ აღდგომის კვერცხივით ეგ ლოყები, ნუ თუ კოკრები აგრე უხთება ადამიანს.

ჭრელოსნებს!

ჭრელოსნებო, მომილოცავს ახალი წელი!
გწყალობდეთ მუზა,
რომელიც, რომ თქვენს ახლოს
ამ ბოლო დროს აიტუზა.

ექიმებს!

გილოცავთ ახალ წელს და მასთან გისურვებთ თქვენ კორპორაციას ბევრი მომატებოდეს ახალგაზდა დიპლომიანი ექიმები, რომლებიც ნუ იტყვი, თურმე პროვინციის ზოგიერთი ექიმები ერთი შეხედვით გიპნოტიზმით კურნავენ თურმე ავადმყო-

ფებს, ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ამბროლაურის ექიმი, გიმატოსთ ახალმა წელმა ბევრი ამისთანა.

დათიკოს!

მომილოცავს ახალ წელი,
ჩვენო დავით ქებაძეო!
ლაი ლაი მოიშალე
ნუ დახვალ შენს ნებაზეო;

—

თუ რომ ჭკუით არ იქნები
აქ გვყავს ჩვენი არონაი,
ისეთ მუხრუჭს მოგიჭირავს
სულ გაძახოს ადონაი.

გაზეთ იმერეთს!

მომილოცავს ახალი წელი
და გიცოცხლოს ღმერთმა „ურო“!
ქვაფენილზე დამჯდარიყო
და ერტყმიოს მუდამ ურო.

—

ნუ მოგაკლოს გუცას ლექსი
სიყვარულზე აგებული,
შენც რომ დაგემშვიდებიოს
სატრფოს ცქერით აღგზნებული.

—

ნუ მოგაკლოს კვირიკ წმინდა,
ტაკი მასხრის ოხუნჯობა
და შენს სამშობათელასაც,
რომ ქონოდეს ხალხში ნდობა.

—

თან გიცოცხლოს შენი ვასილ
და ქონოდეს ხელში შოლტი,
ვირებისთვის მოემწყესოს
იქ გაუვა თავის „ვოლტი“.

—

მასთან დიდხანს თქვენს ამაგათ,
ნუ მოგაკლოსთ „სილოს“ თავი,
პოეზიით გაჟღენთილი
და ზეცაში დამფრინავი.

ჯილა.

საახალწლო ვიზიტები.

(სიზმრათ ნახული),

ასალ წლის დამეს ტოტა გვიან გიახელით ჩემს კაბინეტშიდ. ეს ოხერი თუ ერთხელაგვე ძალი გამიტეხა გვიანობაზედ ვედარ დავიძინებ. ვიბრუტე, ვიბრუტე და რუგორც იქმნა წამეძინა, მაგრამ მთლათ სიზმრათ გადავიქეცი. მეზმანა: ქუთაისის საკრებულო დარბაზში ნადიმს იხთიან ესფერების დიდერები. რასაკვირველია მეც გამეხსნა მადა მუქთათ ქეიფისა, დავიხურე უჩინ მაჩინის ქუდი და ისეთ ამოჯეკი თავი ამ მშვენიერ მაგიდასთან, რომ არავის არ გაუგია გარდა ვარდამისა (ეს ესფერების ჯაშუშია და არა პარტიის წევრი, ამას თვით ესფერებიც ადიარებენ). ვარდამმა ამ შემთხვევაში დიდი ჯენტლემენობა იხმარა რომ არ გამამხილა. მაგიდაზე რა გინდა სულო და გულო რომ არ იყო: შამპანიური, კახური ღვინო, ტიტქა, ძმობა, ამხანაგობა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ორი თვალი უკეთეს ვერას ნახავდა. ეაურანტო უკეთეს ვერას გადაულაპავდა, ენა უკეთეს გემრიელს ვერას იამებდა; ერთი სიტყვით ჩატის რძის მეტი არასფერი არ აკლდათ. თამადათ ერთხმათ კიტა აირჩიეს. აჭა ადგდგა თამადა, აიდო შამპანიურით სავსე კათხა და ჩვეულებრივი მოგზიბლავი სიტყვებით მიმართა კუჭიკოს: ამხანაგო, შენ ჩემო მშვენიერო მტრედო, გვრიტო, მარგალიტო, რომ იტოდე რუგორ მიე...ახ უკატრავათ, ხომ იტი თუ რა დიდი მოვალეობა გაწევს მაგ სქელ კისერზე. შენ აგირჩია არა ნაკლებ 400-მა ბრწყინვალე ხმა-ხანჯლიან თავად-აზნაურობამ და რასაკვირველია შენ, რუგორც ზნეობრივათ, აგრეთვე იურიდიულათ მოვალე ხარ მათი ინტერესები დაიცვა; ისიც ხომ იტი ამხანაგო, თუ მათი ინტერესები რა არის? ის, რომ ჯიბე ძლიერ გაუთხელდათ, ქანქარი შემოაკლდათ, ეცადე რუგორმე პეტრეს ქალაქიდან სათავად-აზნაურო სუბსიდია მოაწეო, თორემ ხომ უეურებ, რუგორ დაფვენ სულს. მაშ იტოცხლე ამხანაგო და გისურვებ მედგრათ ბრძოლას თავრიდის სასახლეშიდ (ეხვევიან და კოცნიან ერთმანეთს). უველანი ერთხმათ ეკერიან: გაუმარჯოს ჩვენი სუფრის დეპუტატს კუჭიკოს! მანატ სამადლობელი შემდეგი სიტყვებით დაათავა, ბ.ბ. მადლობასა გიძღვნიო ჩემი დღეგრძელობისათვის, ვეტოები გიორგი დიდის დირექტივები პირნათლათ გავამართლო (უველანი ტაშს უკრავენ და ურას გაიძახიან). მეორე სადღეგრძელო თამადამ ვარდამის გამოსტალა და ამ სიტყვებით მიმართა: ჩვენო ვარდამ, ჩვენო მარჯვენა ხელო, თუ ვიშოვეთ

დეპუტატი მსოფლიო შენის წყალობით, შენ დანოს რომ არ გაჭრა შენი მტერია სასტიკით დაგვმარცხებდენ ის წეული სოციალ მეკრამიტეები. იტოტხლე ჩვენო ვარდამუშა, შენ ჩვენთვის კიდევ საწირო კაცი იქმნები, უშენოთ ჩვენ არ ვარგივართ! ეგელანი ერთხმათ ეგირიხ. მესაშე სადეგრძელოს გასაგრძობს თამადა, ამხანაგო ულმობელო! ბევრი ურტეი თუმცა ურო, მაგრამ უნდა აშკარათ გამოგიტუდე გამოგივიდა ცარიელი დალია. მაინც იტოტხლე, შენც საწირო კაცი ხარ, ვინმე ავათ რომ გახდეს სულ რომ არა იოს რა ქინინას მაინც გამოუწერ. მეოთხე სადეგრძელო პეტრე გრძელ წვერასი მიირთვა ამ შინაარსით: ამხანაგო პეტრე! ტეუილათ კი არ მოუცია ღმერთს შენთვის ეგ ქიცინა წვერები, ნამდვილ ეშმაკი ხარ, როგორც გარეგნულათ აგრეთვე სულიერათაც, თორემ შე წეულო, რა იცოდი „ზაკვკეზსკი რეჩს“ რომ ატეობინებდი ტელეგრამით „არჩევნები ჩაიშლებაო“ ბრავო პეტრე ქიცინა, ბრავო და ბრავო! ეგელანი ერთხმათ ბდავიან გაუმარჯოს პეტრეს! მეხუთე სადეგრძელო ჭიათურელი სიმონ ექიმის დალიეს. თამადამ მასაც შესაფერი სიტეეა უთხრა. აი მოკლეთ შინაარსი: ამხანაგო სვიმონ! შენმა აგიტატიამ ჭიათურელებთან ბევრი ვერაფერი გაგვიკეთა, შენ ჩემო ძმაო ხალხში აგიტატია არც ასე ადვილი გეგონოს, აგიტატია ეს ერლიხის პრეპარატი კი არ არის! აგიტატია არის პრეპარატია. მაგრამ შენც იტოტხლე მეც მაატოტხლე. და აქ შემოჭკივლეს უმადლესათ. შემდეგ ეგელამ ერთბაშათ სტაქნები ხელშიდ და ეგირილით სიმკას გაუმარჯოსო სტაქნები დასცალეს, კიდევ ბევრს რამეს გავიგონებდი, მაგრამ იმ წეულ პეტრე ეგერ-ქიცინამ თვალი მომასწრო და იმისთანა დამიდრიალა მეგონა მთელი კლუბის დარბაზი დაინგრათქო, იტოტხლე მე მოგკურტხლე და ისთე აბნეულათ გავიქეცი რომ კარებსაც ვეღარ მივაგენი და უცბათ ბაქარის სათამაშო ოთახში ამოვუავი თავი. აქაც რა ენახე ღმერთო ჩემო, იმისთანა

очки 10 руб. рублей сабунчи.

ს მანეთიანებს ისთე გადიოდენ გეგონებოდათ პანტა კაშლიაო. გაკვირებით უტქეფდი ამ ამბავს, მაგრამ იმ შეჩვენებულმა კადისტრატემ თავისებურათ ისთე მაგრათ დაამტხიკვა, რომ ქვარიანების ქუჩაში ამოვუავი თავი. მომიწირა სიტეეემ, მეც რადს ვიზამდი, ვეწვიე სიმონ ქარიანს. ერთი კი დამარიგა ჭკუით იუავი, თვარა მოგტხებ გვარიანსო და მოეევა წიდო-ბოდიდოს; მეც ცნობის მოეკრეობამ გამიტაცა და შეეკითხე: სვიმონ, რომელ პარტიას ეკუთვნი მეთქი? მომიგო, მე არც ერთ პარტიას თუმცა არ ვეკუთვნი და განეენებული აზრისა ვარ და ჩემი ფილოსოფია მაქვსო, მაგრამ ეგელაზე უფრო სოციალ დემოკრანტების სისხლი მწეურიაო, დამსხა ციგმა ოფლმა მე ვიფიქრე ვაი თუ ვეგონო სოციალ დემოკრატი და მიაძღეს ჩემს უმანკო სისხლსოქო, ფიტხლავ გამოვემშვიდობე და მოგკურტხლე შინისკენ. მე ეგელა ეს სიზმარი მეგონა და ვეუბნებოდი ჩემს თავს, ნუ გძინავს, გამოიდვიძე მეთქი, მაგრამ მოვსტეუვდი, თურმე ეგელა რაც ვნახე მდვიძარს მინახავს და მდვიძარს რადა გამდვიძებდა! ღმერთმა თქვენი მტერი გაუწალოს, ამ ახალმა წელმა მე გამაწვალა.

ლიდა.

ახალი ამბავი:

✻ ახლო მომავალში ოთხშაბათს, ორ იანვარს, რადიუმის დარბაზში გაიმართება საღღესასწაულო ლექციების კითხვა:

✻ პირველად წაიკითხავს ჩვენი მცხოვანი მგოსანი „გუცა“ ლექციას შემდეგ თემაზე: სიყვარული და მისი მნიშვნელობა მეოცდა ერთე საუკუნეში.

✻ მეორე ლექციას წაიკითხავს გამოჩენილი პუბლიცისტი „ლილა“ შემდეგ თემაზე: ჩვენი სტუდენტობა „ლაილაის“ ფაკულტეტზე და მისი შედეგი.

✻ ქალთა წრიდან! ყოფილი პროგიმნაზისტკა წაიკითხავს: „პენსნე“ და მისი მნიშვნელობა საარშიყო ასპარეზზე.

✻ **სილოვანი** წაიკითხავს ავტონომიაზე, როგორც უებარი საჭიროებაა და მისი პეტრეს ბუხტიდან ჩამოტანის საშვალებაზე.

✻ **იაგორ ბარკალაია** წაიკითხავს ჩვენს სტუდენტობაზე და მზითვიან ურა ურა გოგოების გასაღებაზე, აგრეთვე გამოაშკარავებს თავის ნამოლვაწარს და ალფავიტის წარმოებას, თუ რამდენი ყავს ჩაწერილი თავის სიაში

✻ **ვასო ბეჟანეიშვილი.** ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე, აგრეთვე გაგვიმარტავს თუ როგორ შეიქნა მეოცდაერთე საუკუნეში ცნობილი სამყაროსა ზედა.

✻ იყიდებიან რასპრადაჟაში შემდეგი ვაჭრები მხოლოდ ორი დღით.

შაქრო, მიტრო, ავეტიკა,
კოლია და სამსონუშკა,
იაფათ არის სუყველანი
არ გეგონოთ თქვენ იგრუშკა.

—

ქალიშვილებს ურჩევ სწორეთ,
ეს კაი დრო არ დაკარგონ
და უკანვე დაგვიბრუნონ
ვინცობაა არ ივარგონ.

—

კაბანაძის საგაჭრო სახლში ისყიდება ია ფად 5,000 სხვა და სხვა გემოს კამფეთები: 5,000 ფაბრიკისა 5,000 გემოვნებისა, 5,000 ფეროვნებისა, 5,000 ფორმატისა.

გვეწვიენ ჩვენი თანამემამულე სტუდენტები უფრო მეტი მოსკოვიდან, თანაც ზოგიერთებმა მოსკოვის ცივილიზაცია ჩამოიტანეს რომელიც გამოიხატება კლუბში „ფრონცკი“ გამაშებით ცეკვაში. თურმე ნუ იტყვი მოსკოვის კლუბებშიდაც გამაშებით ცეკვავენ. სახელების გამოცხადება აღკრძალულია, ვინაიდან შეიძლება ამაზედაც ბევრი გვითაქონ.

საუცხოვო შემთხვევა მოხდა შობა დღეს, როდესაც ბატონი სამშაბათელა, კლუბის დარბაზიდან ღამე ნათევი და ოცნებით გატაცებული მოდიოდა, უცბათ დროგმა გადაუარა და თავზე თურმე რაც ბეწვი გააჩნდა ერთბაშათ გადაატყავა, იღბლათ ექიმ ვასილმა წამოასწრო, იადაფორმა მოაყარა, თავისივე ბიშლაყით თავი ისე მაგრათ შეუკრა გეგონებოდათ მის თავზე „იმერეთი“ დაუმყნიათო.

ხმა გავრცელდა, იოსებ ოცხელი და კომპანია ფართლის სავაჭროს გახსნას აპირებს შიგ კაკალ გულვარდშიდ. ნოქრებათ შემდეგ პირებს ასახელებენ: უროს, ზავედუვაიჩათ, სილოს „გლავნი“ ბუხგალტერის პომოშნიკათ., გუცა რაზსილნოით, ლიზა კასირშათ. სამშაბათელა, კვირიკე და „დ.“ ხელზე მოსამსახურეთ. როგორც საქმიდგანა სჩანს დიდ მუშტრებს მიიზიდავს და კომერციაც განვითარების გზას დაადგება.

ლიდა.

დეპეშები.

—

ქუთაისის ბარაშნებს

გილოცავთ ახალ წელს. რადგანაც მე ვერ მოვდივარ გიგზავნით 7,355 ჰაეროვან კოცნას, იმედი მაქვს გაგწვდებათ, გული არვის დაგწყდებათ.

გრიშაშვილი.

ქუთაისის დანყუანებს

გილოცავთ ახალ წელს, იმედი მაქვს არ გამიწყრებით, რომ ადრე ვერ მოგაწოდეთ ახალი მოდნი კატელიოკები, რადგანაც ტელეგრამით გამოგზავნა არ შეიძლება გიგზავნით ფოშტით ფილო მეხაშის სახელზე, იმედია მოიკითხავთ.

თქვენი გრიშკა (დექტორი)

ზოგიერთ ქუთაისის ანტელიგენტებს.

გილოცავთ ახალ წელს, იმედი გვაქვს არ მოიწყენთ უჩვენოთ.

ასტავნოები.

სროჩნი ტელეგრამები.

რუსეთიდან ჩვენი თანა მემამულე კურსისტკები ტელეგრამით გვატყობინებენ „ვენეტრ-დანფერის“ კაბები და აჟურნი ჩულქების ტარება 40 გრადუსიან ყინვაში მოდათ შამოვიდაო, (იმედია ჩვენებური ქალებიც მიიღებენ მხედველობაში).

იქადანგე

ტყუილია ის ხმები ვითომც ჩვენ არშიყობის მეტს არას ვაკეთებდეთ, პირიქით ზოგიერთები „შკალიკსაც“ კარგად გიახლებით.

იქადანგე.

გადაეცით ჩვენს „სიმპატიებს“ ტყუილა გვიცდიან, აქ უკვე ევირჩიეთ სურვილისამებრ ჩვენისა, ასეთ რომ, „ზანიატი“ ვართ.

ადგილობრივი

პარასკევ ღამეს ქუთაისის საკრებულო დარბაზში (კლუბში) (მოწაფეების საცეკვაო საღამოს) მოხდა ომიანობა, ვეგონებოდათ ბალკანეთის ომიაო. არიან დაჭრილნი და დასახინჩებულნი.

ბლუბიდანვე.

„ბაქარისტების“ რიცხვი თანდათან მატულობს, იმედია ძველი წლის დეფიციტი ახალ წელიწადში აღარ გადავა.

იქიდანგე

კალისტრატე (როგორც ამას სროჩნი ტელეგრამით გვაცნობებენ) ამ მოკლე დროში თავის მწყალობელ „შვიდიანს“ იუბილეს უხდის და დიდძალ ბაქარისტების მიპატიჟებას აპირებს. ადგილობრივ ბაქარისტების გარდა თბილისის ქართულ კლუბის ბაქარისტებიც ეყოლება მოწვეულნი.

იქიდანგე.

როქეს ლოტო ძლიერ წყალობს. შაბათის სამჯერ ზედი-ზედ მოიგო და ისთე გაუხარდა, რომ მოითხოვა შამპანიურები, დათვრა და იმისთანე „ლეკური“ და „კადრილი“ იცეკვა, რომ მაყურებელთ სიცილით ნერვები აეშალათ. მაგრამ ბოლოს უბედურება კიღამ დატრიალდა, ნამეტანი ცეკვისაგან შამპანიურმა თავში აუჭიანურა და ჩხუბი მოუვიდა უცნობ თავადიშვილთან. როქემ დუელის ნიშნათ ბლატოკი ესროლა, დუელი მოხდება ნათლიღებას დღის ათ საათზე საკრებულო დარბაზშივე. სეკუნდანტებათ შემდეგი პირებია დასახლებულნი: როქეს მხრით, ასალო ცხვირაძე, მეორეს მხრით შაქრაძე.

ი რ ო დ ე ს

ამ საახალწლოთ
ვაი ი რ ო დ ე ს!
გაჯაშუშეს
უნდა ტ ი რ ო დ ე ს.

—

ნეტავ ვიცოდე
უჭკუო თავი,
რით მოიყიდეს
შესაცოდავი.

—

ვაჭარი რომ ხარ
სინდისაც ყიდი?
შტერო ი რ ო დ ე
ასთე ხარ ფლიდი?

—

რ ო დ ი ს ა გ ა ხ დ ი
ძარით ეს ფერი
და „დანოსჩიკი“
ხალხისა მტერი.

ლაილაი.

ქალიშვილების სიმღერა

პლასტინკები დავიკიდოთ,
მით ვიაროთ შკოლაშიო,
ჩვენის დუშკას საჩუქარით
ასთე არის მოდაშიო.

—

ხელს ბეჭედი გავიკეთოთ
სიყვარულის კავშირისა,
გვქონდეს მისთვის, რომ გვახსოვდეს
სახე ჩვენი მიჯნურისა.

ლილა-

ლ ი ლ ი ს ფ ო ს ტ ა.

ლადიკოს. მოსკოველი ამბავები არ დაიბეჭდება.

კოლას. თქვენი ლექსი მოსკოველ ქალიშვილებზე 23 სტატიის ძალით აკრძალულია, ვშიშობთ და ვერ ვბეჭდავთ.

აშალოს. შენი ლექსი მართალია შენსაებრ დინჯ აზროვანია მაგრამ ოცნებით გრძელ ფარდოვანია მეხათრება, რომ გაწბილებ როგორც მეგობარს მაგრამ ხომ იცი „служба не дружба.“

ბაშას. თქვენი ლექსი „გამაშები და მისი მნიშვნელობა“ გვიან მივიღეთ და დაბეჭდვა ვერ მოვასწარით იმედია არ გეწყინებათ.

ლოლიას. თქვენი წერილობითი ახსნა: გამაშებს გიმეტრა ქვიაო ქართულათ გვიან მივიღეთ, მაინც მადლობას გიძღვნით.

ტიტიკოს. თქვენი ჭიდაობის პროგრამა ძლიერ რთული და აღმაშფოთებელია, ვეცთებით შემდეგ ნომერში მოვათავსოთ, რადგანაც ჩვენს აქაურ სუსტ ნერვებიან მკითხველებს არ გვინდა ჩაუშხამოთ ეს ბედნიერი დღეები. იმედია შეხვალთ მათ მდგომარეობაშიდ და გული არ დაგწყდებათ.

წითლოსანს. იწერები, მარუსია შკოლაშიდ დასაჯესო, ესეც ჩვენ ვიდარდოთ? ასეც უქნიათ შენთან მიუყოლებიხართ.

J 84
1915

ლურჯოსანს. იწერები, სიმპატიამ მიღალატაო! მოგცლია ჩემო დაია ვერ გაიგე, სიყვარული ისეთ გაეფდა, როგორც რასპროდაჟის აფიშები, ამდროული სიყვარული და აფიშა ორივე რეკლამაა. გულს ნუ გაიტეხ, იმან თუ გიღალატა შენც უღალატე.

მადამს. იწერები, ეჭიმს ცოლმა უღალატაო, ვინ იცის თქვენ უარესი ბრძანდებით, „ეგეები არ იყოს.“

ბულვარისტს. იწერები, ამ ბოლო დროს ქუთაისის ბულვარს ბევრი მახეტიალე მოემატაო, შენ ჩემო ძამია ქარავანს დასცილებიხარ რომ დავბეჭდო ხომ გამისივეს ნიჩვი, მგონებ შენც მათი ამხანაგი ხარ და განგებ პროვოკაციას ეწევი.

განცხადებანი.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გასათხოვარ ქალიშვილებს რომ ჩემის ალფავიკტიში აღარ არის ალაგი, ვინმე ჩავსწეროპ ამისთვის ვურჩევ ყველას მიმართონ ახალ მაჭანკალს პმრმენა კვიმსაძეს პირდიპირი მისწრებაა

პატივის ცემით იაგორ ნიკალაიჩი.

შავგვრიმანი სახეს მქონე ვარ, ტანათ მაღალი, წელში წვრილი ფეხები გრიშაშვილის არ იყოს ოქროსი და მასთან პატარა, ტუჩები ძუძუ მწოვარა ბავშს მიგავს, ლოყები ფერ მკრთალი, ესე იგი სიმპატიური თვალები ზეციური ანგელოსის მსგავსი. პუდრას, ტუჩების გასაწითლებელს, ოდეკალონს და ამგვარებს დღეში მხოლოდ სამჯერ ვხმაროპ (რადგანაც ღმერთიც სამებითაა). რვა კლასი გათავებული მაქვს, ამასთანავე საწყალმა მამაჩემმა თუ რამე იშოვა დღეღამის თევით (10,000 მანეთს) ყველას მე ჰატანს მზითევათ, ოღონდაც სტუდენტმა შემირთოს გინდ გამიშვას მერმე მაინც გული არ დამწყდება. ხომ კი იტყვიან სტუდენტის ნაცოლარიაო ასეთ რომ, „კრუგომ გატოვა“ ვარ, უსახელო წერილებს არ გავსცემ პასუხს.

ჩემი ადრესი бульваръ до востребованія.

---

1 იანვრიდან 1913 წ. ქუთაისში სობოროს მახლობლათ გაიხსნება ახალი ვაჭრული ბანკი, სახელათ ერქმევა „არონოვსკი“ ბანკი ვექსილები დასახურდავებლათ მიიღება მხოლოთ ჩემივე მუშტრებისა $31^1/_2$ პრაცენტით.

ჰატივისცემით „არონა.“

1913 წ. საკრებულო დარბაზში დანიშნულია საცეკვაო საღამო და მასთან ვინც კარგად ლეკურს იცეკვებს „პრიზს“ აიღებს, ვაფრთხილებთ მოცეკვავებს მარტო ცეკვა არ კმარა, ლამაზიც უნდა იყოს, რომ პრიზი მიიღოს.

Совѣтъ старшинъ.

რედაკტორ გამომცემელი **იოსებ ქავუარაძე**

გვაქვს ჰატივი გაცნობოთ ჰატივცემულნო მკითხველნო, რომ ეს ალმანახი ექსპრომტათ არის შედგენილ-გამოცემული და თუ რამე შეცთომა ნახოთ, გთხოვთ თქვენვე გასწოროთ და ბევრი „ლაი-ლაი“ არ გაგვიმართოთ.

ლიდა.

სტამბა იოსებ ხელაძისა, პუშკინის ქუჩა, ბანკის შენობაში.